5. ეგვიპტური მონობიდან თავდაღწეული ხალხის ერად შექმნის კონცეფცია ამ ხალხის რელიგიურ-კულტურული იდენტობის შეძენითაა განსაზღვრული. სწორედ რჯულის ანუ ღირებულებითი კონსტიტუციის მიღების შემდეგ იქცევა ხალხი ერად ანუ შეიძენს ეროვნული თვითშეგნების ელემენტებს. ამიერიდან კი ამ ერს უნდა ახსოვდეს, მისი თვითმყოფადობა იმ კონსტიტუციითაა განსაზღვრული, რომელიც სინას მთასთან რჯულის სახით მიიღო. ისრაელის ბიბლიური ისტორიაც ამას მოწმობს: როგორც კი ისრაელი რჯულს გადაუხვევს ანუ ჭეშმარიტ ღირებულებათა სისტემას დაივიწყებს, კარგავს ეროვნულ თვითშეგნებას და ისევ ხალხად ქცევისაკენაა მიდრეკილი. ეს პროცესი კი მისი აუცილებელი მონობისაკენაა მიმართული. ამისაგან განსხვავებით, როგორც კი ისრაელი ეროვნული თვითშეგნების აღდგენას იწებს, მისი თავისუფლებისა და გაძლიერების დროც დგება. მის ისტორიაში მეორდება ეგვიპტეცა და ეგვიპტიდან განთავისუფლებაც. ისრაელისათვის ყოველთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მისთვის აუცილებელია გააჩნდეს ეროვნული თვითშეგნება და ახსოვდეს, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ჭეშმარიტი ღირებულებათა სისტემის ანუ სინას მთასთან მიცემული ღირებულებითი კონსტიტუციის დაცვითაა განპირობებული.

გიორგი გვასალია

თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი

ეროვნული თვითშეგნების ბიბლიური გააზრება

თეზისები

1. ბიბლიური თხრობა ასახავს ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობას, რაშიც პიროვნების, მოდგმისა თუ ერის ისტორია უცხადესად არის გამოკვეთილი. ზოგადად, ბიბლია ვრცლად არ საუბრობს ერების ჩამოყალიბების პროცესის შესახებ, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთი ერის ფორმირების საკითხს. მართალია, ბიბლიის მთავარი სათქმელი ერისა თუ ეროვნულობის თემატიკას არ ეხება, მაგრამ სამოთხის მიღმა გაგრძელებული კაცობრიობის ისტორია ამ სივრცის უგულებელყოფას ვერ ახერხებს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიის მთავარი თემა მესია და მის მიერ ადამიანის გამოხსნა გახლავთ, ჩვენ, როგორც ძველ, ისე ახალი აღთქმის წიგნების კითხვისას ვერსად ვერ ვხვდებით ეროვნული იდენტობისათვის დამახასიათებელი თავისებურების უგულებელყოფის მცდელობასაც კი. თუ კი მესიის შობამდე ბიბლიური თხრობა ერთი ერის გარშემო ტრიალებს და მასშია მოაზრებული კაცობრიობის ღმერთთან ურთიერთობის პრობლემები, მესიის შობის შემდეგ სამოციქულო მოღვაწეობა სხვადასხვა ენებზე ამეტყველებით იწყება

და ეკლესიის სამისიონერო ისტორიაში ყოველთვის გათვალისწინებულია ამა თუ იმ ერის კულტურული თავისებურება; იმდენად, რამდენადაც ისტორიული თვალსაზრისით, მესიის შობამდე ძველი ისრაელია ის წიაღი, სადაც ბიბლიური თხრობა მესიანური მოლოდინის შესახებ იუწყება, ეროვნული თვითშეგნების ბიბლიური გააზრება (რომელიც არც მესიის შობის შემდეგ არის უკუგდებული) სწორედ ისრაელის, როგორც ერისა და მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ბიბლიურ თხრობაშია საძიებელი;

2. ისრაელის ერად ჩამოყალიბების ისტორია უკავშირდება ეგვიპტეში მონობაში მოქცეული ხალხის განთავისუფლებასა და მამამთავრებისათვის ანუ წინაპრებისათვის აღთქმული მიწისაკენ სვლას. მოსე წინასწარმეტყველი ჩადის ეგვიპტეში ხალხის მონობიდან გამოსაყვანად, რაც გარკვეულ პროცესს უკავშირდება: მოსე ახსენებს ეგვიპტის მონობაში ღონემიხდილ ხალხს წინაპრებთან დადებულ საღვთო აღთქმას და მიუთითებს ამ აღთქმის აღსრულების დროის დადგომაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსე მონობაში ჩავარდნილი ხალხის აზროვნებაში დებს ხიდს წარსულსა და მომავალს შორის და ეს ხიდი გულისხმობს ღმერთსა და მასთან დადებულ კავშირს. ბიბლიაში ეს ხიდი არის არა მხოლოდ მომავალი ისრაელის რელიგიის განმსაზღვრელი, არამედ ამ ხალხისაგან სამომავლოდ გამოსაძერწი ერისათვის ღირებულებათა სისტემის განმსაზღვრელი. მონობაში მოქცეულმა ხალხმა უნდა გაიაზროს, რომ მისი თავისუფლება უკავშირდება აზროვნების კონკრეტულ მიმართულებას, ცხოვრების კონკრეტულ

ფორმას, რომელიც ღმერთის მიერ ანუ გამოცხადებითი ჭეშმარიტებით არის განსაზღვრული;

3. მონობასთან მენტალურად დაკავშირებული თაობა ვერ ქმნის სახელმწიფოს. მისი შექმნა და შენება მხოლოდ თავისუფალ თაობას შეუძლია. სწორედ ამ კონტექსტში საუბრობს ბიბლია ისრაელისათვის რჯულის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელი კონსტიტუციის მიცემაზე. ეგვიპტიდან გამოსული ხალხი ნაციონალურ შეფერილობას იღებს მაშინ, როდესაც ის ერთიანდება ღირებულებითი კონსტიტუციის გარშემო ანუ ჩნდება გაზიარებული ღირებულებათა ის სისტემა, რაც გამოცხადებით ჭეშმარიტებას ეფუძნება;

4. ბიბლია საკმაოდ ცხადად მიგვითითებს იმაზე, რომ ეგვიპტიდან გამოდის ხალხი, რომლის ერად ფორმირებაც სინას მთასთან ღირებულებითი კონსტიტუციის ანუ რჯულის მიღების შედეგად მოხდება. მნიშვნელოვანია იმისი გააზრება, რომ სახელმწიფო, რომელიც მამამთავრებისათვის აღთქმულ მიწაზე უნდა ჩამოყალიბდეს, ერის მიერაა შესაქმნელი და ამას უბრალოდ ხალხი ვერ მოახერხებს. ცხადია, ღმერთისათვის შესაძლებელი იყო ეგვიპტიდან გამოყვანილი ხალხი ჯერ აღთქმულ მიწაზე შეეყვანა და იქ მიეცა რჯული ანუ ღირებულებითი კონსტიტუცია, მაგრამ ბიბლია სხვა პროცესის შესახებ მოგვითხრობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ ეგვიპტიდან გამოყვანილი ხალხი ჯერ ერად უნდა იქცეს და შემდეგ ამ ერმა უნდა შექმნას სახელმწიფო;